დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ამ წესის მიზანია განსაზღვროს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,თსუ“) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის მოპოვების/შეჩერების/შეწყვეტის, მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები და უფლება-მოვალეობები.

მუხლი 2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის გავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან შესაბამისი სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირს.
2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და ისწავლება არანაკლებ 1 (ერთი) სასწავლო წლის განმავლობაში.

თავი II. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის მოპოვება

მუხლი 3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია:
ა) საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
ბ) თსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება.
2. ჩარიცხვა ხდება თსუ-ს მიერ შემუშავებული რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.
3. თსუ-ში აპლიკანტთა ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის

- დიპლომის ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.
4. აპლიკანტის ჩარიცხვა ფორმდება თსუ-სა და აპლიკანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

თავი III. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ საკუთარი პროფილის ფორმირება და მოდიფიცირება

მუხლი 4. სასწავლო სემესტრები

1. სასწავლო წელი შედგება შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან.
2. რექტორის ბრძანებით განისაზღვრება ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის, სააუდიტორიო მეცადინეობებისა და საგამოცდო პერიოდის ვადები.

მუხლი 5. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის დატვირთვა

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის დატვირთვა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს.
2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის დატვირთვა ერთი სემესტრის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 35 კრედიტს.
3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს დამამთავრებელ სემესტრში კრედიტების შესაბამისი რაოდენობის შესასრულებლად უფლება ეძლევა აირჩიოს საგნები არაუმეტეს 40 კრედიტისა.
4. დაუშვებელია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

მუხლი 6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად არ ენიჭება სახელმწიფო სასწავლო გრანტი, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს სწავლის საფასურის სრულ ან ნაწილობრივ გადახდას თსუ–ში დადგენილი წესების დაცვით, წარმოადგენს აკადემიური რეგისტრაციის გავლის წინაპირობას და გამოხატავს მზაობას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, შესაბამის სემესტრულ შუალედურ და დასკვნით გამოცდებში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისი შესაძლოა

დადგინდეს რექტორის ბრძანებით.
3. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით.
4. სასწავლო კურსის შეცვლა ან გაუქმება დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში.

თავი IV. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა და აღდგენა

მუხლი 7. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერება

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერებად განიხილება თსუ-სა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს სტატუსი შეუჩერდება შემდეგი საფუძვლების არსებობისას:
ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
ბ) ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;
გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა;
დ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;
ე) უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა.
3. ამ მუხლის მეორე პუნქტის "გ" და "ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრული საფუძვლით სტატუსის შეჩერების მოთხოვნით მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს თსუ-ს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან 4 კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს სტატუსის შეჩერებისა და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას; ხოლო ამ მუხლის მეორე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს მიმდინარე სემესტრში სტატუსის შეჩერების და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.
4. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით.

5. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტა

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
ა) სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
ბ) პირადი განცხადება;
გ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ სტატუსთან შეუთავსებელი იმ ქმედების განხორციელება, რაც გათვალისწინებულია თსუ-ს ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით;
დ) თსუ-ს წესდებით განსაზღვრული სხვა საფუძველი, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას;
ე) გარდაცვალება.
2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობით.
3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის აღდგენა

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის აღდგენა იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა სტატუსი, დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით.

თავი V. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 10. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლება-მოვალეობები

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს თსუ-ს ხელშეკრულების პირობების განუხრელად შესრულება;

ბ) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

გ) თსუ-ს წესდებით, შინაგანაწესითა და უნივერსიტეტის ინდივიდუალური აქტებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელთაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ე) საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

ვ) შეაფასოს აკადემიური პერსონალის მუშაობა თსუ-ში დადგენილი წესით;

ზ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი ვალდებულია:

ა) განუხრელად დაიცვას და შეასრულოს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობები და მოთხოვნები, თსუ-ს წესდება, ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, ასევე თსუ-ს მიერ მიღებული სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მოქმედი კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს;

ბ) მუდმივად ეცნობოდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა და უნივერსიტეტის იმ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც ეხება სასწავლო პროცესს და განუხრელად დაიცვას მათი მოთხოვნები;

გ) მუდმივად ეცნობოდეს თსუ-ს მიერ ბეჭდური და ელექტრონული საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას;

დ) გონივრულ ვადაში აცნობოს თსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში არსებულ ანკეტაში მითითებული ინფორმაციის ცვლილების თაობაზე; წინააღმდეგ შემთხვევაში თსუ იხსნის პასუხისმგებლობას შესაძლო, მოსალოდნელი და დამდგარი უარყოფითი შედეგების გამო;

ე) უზრუნველყოს თსუ-ს კუთვნილი ქონების, მოწყობილობებისა და მასალების სათანადოდ

მოპყრობა და დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ გატარდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, ასევე, თსუ-ს ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიებები. უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზიანის გამო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს დაეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. დამატებითი სემესტრი

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადაში ვერ დაასრულა შესაბამისი პროგრამა, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრების განმავლობაში.
2. პირველი ორი დამატებითი სემესტრის სწავლის საფასური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს განესაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე შესასწავლი სასწავლო კურსის/კურსების კრედიტების შესაბამისად, ხოლო მომდევნო დამატებით სემესტრებში - მათი ჩარიცხვის სემესტრისათვის დადგენილ სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობას.
3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე კრედიტის ღირებულება შეადგენს 40 ლარს.

მუხლი 12. სწავლის საფასური

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს სახელმწიფო სასწავლო გრანტი ენიჭება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

თავი VI. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიღწევების შეფასება

მუხლი 13. შუალედური/დასკვნითი გამოცდა

1. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს, რომლის შუალედური შეფასებები შეადგენს არანაკლებ 21 ქულას.
2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:
ა) გამოცდის მიმდინარეობისას მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის ქმედება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის გამოცდების ჩატარების ინსტრუქციასა და თსუ-ს ეთიკის კოდექსთან;

ბ) დასკვნით გამოცდაზე დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება.

3. შუალედური გამოცდის აღდგენის პირობები:

ა) შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს ფაკულტეტი, გამოცდის აღდგენა დასაშვებია დეკანის სახელზე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და ამ მიზეზის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს დეკანი. გამოცდის აღდგენა შესაძლებელია მოხდეს შუალედური გამოცდის ჩატარების დღიდან 2 კვირის ვადაში;

ბ) შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს საგამოცდო ცენტრი, შესაბამისი გამოცდის აღდგენა დასაშვებია საგამოცდო ცენტრისათვის ელექტრონული ბაზის საშუალებით (lms.tsu.ge) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ გაგზავნილი მიმართვის საფუძველზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და გამოცდის აღდგენამდე ამ მიზეზის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს საგამოცდო ცენტრი. გამოცდის აღდგენა უნდა მოხდეს შუალედური გამოცდის ჩატარების დღიდან 2 კვირის ვადაში;

გ) შუალედური გამოცდის აღდგენისათვის განკუთვნილი 2 კვირის განმავლობაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის ინდივიდუალური წესით შუალედური გამოცდის აღდგენა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას ინდივიდუალური წესით შუალედური გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს ფაკულტეტის დეკანი.

4. დამატებით გამოცდაზე გასვლის პირობები:

ა) დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს ფაკულტეტი, შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლა დასაშვებია დეკანის სახელზე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი;

ბ) დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს საგამოცდო ცენტრი, შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლა დასაშვებია საგამოცდო ცენტრისათვის ელექტრონული ბაზის საშუალებით (lms.tsu.ge) გაგზავნილი მიმართვის საფუძველზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამატებით გამოცდამდე დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს საგამოცდო ცენტრი;

გ) 41–50 ქულის შეფასების პირობებში ან/და დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრილ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს, რომელსაც

დაგროვილი აქვს არანაკლებ 41 ქულისა, ავტომატურად ეძლევა შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;
დ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი დამატებით გამოცდაზე დაიშვება მიმდინარე სემესტრის საგამოცდო პერიოდში, რექტორის ბრძანებით დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადებში;
ე) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
5. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისთვის გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა:
ა) დასკვნით ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს ფაკულტეტი, დასკვნითი ან დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადაში გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია დეკანის სახელზე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი;
ბ) დასკვნით ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს საგამოცდო ცენტრი, დასკვნითი ან დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადაში გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია საგამოცდო ცენტრისათვის ელექტრონული ბაზის საშაულებით (lms.tsu.ge) გაგზავნილი მიმართვის საფუძველზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და გამოცდამდე დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს საგამოცდო ცენტრი;
გ) დასკვნით და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნის თაობაზე დეკანის წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 14. შეფასების წესი

1. დასკვნითი და შესაბამისი დამატებითი გამოცდა ტარდება წერითი ან ზეპირი გამოცდის ფორმით. გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი მიიღებს ამ კომპონენტისათვის (წერა/ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 50%-ს.
2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. თუ სასწავლო კურსის შეფასებას ახდენს რამდენიმე გამომცდელი, საბოლოო შეფასება გამოითვლება მიღებულ ქულათა საშუალო არითმეტიკულით.

4. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

5. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

6. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

თავი VII. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ პროგრამის დასრულება

მუხლი 15. მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი.